ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3/251 ვ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის 15 ოქტომბერს, ერთის მხრივ **სსიპ „საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მერა ბოჭოიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „კამარა“** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეი გელაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და კონკურსანტის წინადადების საფუძველზე.

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი **N 962**, სოფელ დოლოჭოპის (ყვარლის მუნიციპალიტეტი) სამნავიანი ბაზილიკ კონსერვაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე (CPV **კოდი 71300000** რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა კონკურსანტის წინადადება, რომლის თანახმად მიმწიდებელმა აიღო ვალდებულებ გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე: **15 000** (თხუთმეტი ათასი) ლარი ყველა გადასახად ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა დ კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზ თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არ მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაცია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებ შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია სოფელ დოლოჭოპის (ყვარლის მუნიციპალიტეტი) სამნავიანი ბაზილიკის კონსერვაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, რომელიც განისაზღვრება ტექნიკური დავალების შესაბამისად რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ დანართი - ტექნიკური დავალებ მომსახურების ხარჯთაღრიცხვა და გეგმა-გრაფიკი).

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებ საფუძველზე.

3.2. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების მიხედვით მიმწოდებელი საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას უზრუნველყოფს არაუგვიანეს 2013 წლის 5 დეკემბრისა.

3.3. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელო კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდულ ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურება უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილ ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდ განახორციელებს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლები: ზაზუნიშვილი, მ.სურამელაშვილი, დ. ბოლოთაშვილი, გ. გიორგაძე, ნ.ნოზაძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარებ აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.5 მუხლში მითითებული პირები).

5.2.შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილება მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შესყიდველი დადგენილი წესის შესაბამისა მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.4. შემსყიდველს უფლება აქვს ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.
5.6. თუ შემსყიდველმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.
5.7. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება
6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" 2013 წლის ბიუჯეტის სახსრებით.
6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით;
6.4. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა.
6.5. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

7. ფასები
7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
8.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
8.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
8.3.2. განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;
8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაცია.
8.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.4.3. საპროექტო დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი. შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
8.4.4. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
8.5 საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს 4 (ოთხ) ეგზემპლარად ტექნიკურ დავალებაში მითითებული პირობების შესაბამისად. აგრეთვე პროექტი ელექტრონული სახით ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.
8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა
10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდ გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები
11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებიდ ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. გარანტია
12.1. საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს;
12.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ექსპერტიზის გავლის შედეგად საპროექტ დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.
12.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრა საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).
12.4. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება სამუშაოების პროცესში საპროექტო ორგანიზაციის არაკვალიფიციურ დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდება, რომ ამის გამო სამუშაოების ღირებულება იზრდება, მიმწოდებელი (საპროექტ ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 %-ი ოდენობით.
13.2 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაშ საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმების თარიღიდან.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთ პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო
14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღ გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებებ შესრულებისაგან.
14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებ შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალ აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურ გაწეული მომსახურების ღირებულება.
14.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლ მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

15. ფორს-მაჟორი
15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარი სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულებ შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. შეტყობინება

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

21. სხვა პირობები

21.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობით თანხმობის გარეშე.

21.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

21.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5 სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა # 200122900 ს/კოდი: 204562311	შპს „კამარა“ მის: ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. 33 ს.ს. „თიბისი ბანკი“ კოდი: TBCBGE22 ა/ა # GE90TB7148636050100002 ს/კოდი: 404436865
გენერალური დირექტორი	**დირექტორი**
მერაბ ბოჭორიძე	მიხეილ გელაშვილი

ტექნიკური დავალება

- **პრეამბულა**

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოჭოპში, 2012 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად (აწარმოებდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამუშაოების ხელმძღვანელი, არქეოლოგი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნოდარ ბახტაძე) გამოვლინდა ხუთი წყვილი სვეტით აღჭურვილი, დღეისთვის ცნობილ სამნავიან ბაზილიკათაგან უდიდესი, Vს-ის I ნახევრის ბაზილიკის წანგრევი. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობის გაუარესების გამორიცხვის მიზნით, 4-7 მ-ის სიმაღლით შემორჩენილი და გარეთკენ გადახრილი აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ მიწის ფენა არ მოიხსნა. ინტერიერში კი, იატაკის დონის დასადგენად, მიწის აღების პარალელურად შესწავლილი იქნა ეკლესიის ფუნქციონირების შეწყვეტის შემდგომ, განვითარებული შუა საუკუნეების მანძილზე გამოყენებული სამაროვნის ქვა-ყუთების ტიპის სამარხები.

არქეოლოგიური ძეგლის ფიქსაცია ჩატარებულია, როგორც ტრადიციული მეთოდით, ასევე ლაზერული სკანირებით (ქართულ-კავკასიური ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ ˜ლეიკა ჯეოსისტემს˜-ის მაღალი გარჩევადობის ლაზერული სადგურით) და მის ბაზაზე შექმნილია ციფრული დოკუმენტაცია, 2D და 3D მოდელი და დეტალური ნახაზები.

- **ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები:**

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. საუკუნეების მანძილზე ჩვენამდე მოღწეული, მძიმე მდგომარეობაში მყოფი უნიკალური ძეგლებისათვის აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. მათ დიდ ნაწილზე არ მოიპოვება ტექნიკური მდგომარეობის ამსახველი უახლესი დოკუმენტაცია, უცნობია დაზიანებების გამომწვევი ფაქტორები და არ შედგენილა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია.

საპროექტო დოკუმენტაციით განისაზღვრება რეაბილიტაციის მიმართულებები, რაც საფუძველია ფიზიკური სამუშაოების განსახორციელებლად.

დოლოჭოპის სამნავიანი ბაზილიკის შენარჩუნებისათვის აუცილებელია:

- ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა-შეფასება;
- ძეგლის მდგომარეობის სტაბილიზაციისა და მისი კონსერვაციისათვის აუცილებელ სამუშაოთა განსაზღვრა;

- **მიზანი და ძირითადი პირობები:**

წამოჭრილი პრობლემებისა და სწორი მიდგომების კომპლექსური გადაწყვეტისათვის პირველი რიგის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ნაგებობაზე არსებული ინფორმაციის ადგილზე დაზუსტება, შემდგომ მისი დამუშავება და ნაწილობრივი რესტავრაციისა და კონსერვაციის პროექტის შედგენა, რაც საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გამოცხადებული კონკურსის ძირითადი მიზანია.

ძეგლზე ჩასატარებელი საკონსერვაციო სამუშაოები, აგრეთვე მეთოდოლოგია უნდა დაისახოს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მოთხოვნებისა და ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

კვლევითი და საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ (ვექტორული **DWG, DXF PLN** გაფართოების ფაილი _ **ArchiCad, Auto CAD**) ფორმატში.

ტაძრის კონსერვაციის პროცესში სასურველია გათვალისწინებულ იქნეს არქეოლოგთა რეკომენდაციები.

- **გასაწევი მომსახურება ერთ ეტაპიანია.**

დოლოჭოპის ტაძრის კონსერვაციის პროექტი:

1. განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება); გენერალური გეგმა _ მ. 1:200; სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), შაბლონები, ფრაგმენტები, დეტალები 1:50, 1:25, 1:20, 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით და მოცულობების განსაზღვრით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი).
2. ტოპოგრაფიული გეგმა _ მ. 1:500;
3. სისტემატიზირებული ფოტომასალა: საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის ფოტომასალა – TIFF ან JPEG გაფართოების ფაილი);
4. შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;

5. კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);
6. რეკომენდაციები საკონსერვაციო სამუშაოებისას გამოსაყენებელი სამშენებლო მასალისა და ძეგლზე არსებული მასალის თავსებადობის შესახებ;
7. მიწის სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური კვლევის შედეგები (საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა, არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ძეგლების განლაგების სქემა და ანაზომი, არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20), ტექსტური აღწერილობა, არქეოლოგიური კვლევის შედეგების ანგარიში);
8. ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:200, სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);
9. საკონსერვაციო სამუშაოთა წარმოების ორგანიზება და სამუშაოების ჩატარების კალენდარული გეგმა-გრაფიკი;
10. ჩასატარებელი სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი და ფიზიკური სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა.
11. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა (საარქივო-ბიბლიოგრაფიული კვლევა, ძეგლის კვლევა და რეკომენდაციები);
12. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი (შესავსები ფორმა დანართი 1);
13. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (შესავსები ფორმა დანართი 2).

გამარჯვებულ კონკურსანტს გადაეცემა : არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ციფრულ ფორმატში (ვექტორული **DWG** გაფართოების ფაილი – **Auto CAD**) და დოლოჭოპის არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში PDF გაფართოების ფაილში) და დოლოჭოპის არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში PDF გაფართოების ფაილში.

საპროექტო დოკუმენტაცია (ყველა ფურცელი) უნდა იყოს დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის მიერ ხელმოწერებით. სატიტულო ფურცელი უნდა იყოს დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდითა და ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირის ხელმოწერ(ებ)ით.

<u>საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობისას უნდა მოხდეს კვლევითი და საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი ArchiCad, Auto CAD) ფორმატში.</u>

- **საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ფორმა**

საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს A-3 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:
- სათაური;
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;
- ალბომის შემადგენლობა;
- პროექტის შემადგენლობა;
- შესაბამისი ტექსტუალური ნაწილ(ებ)ი, დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის/ ავტორ(ებ)ის მიერ - A-4 ფორმატი;
- გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით და ჩარჩოთი - A-3 ფორმატი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A3 ფორმატის ზომაზე).

ყველა ფურცელი უნდა იყოს დადასტურებული ხელმძღვანელის, პროექტის ავტორ(ებ)ის/შემსრულებლ(ებ)ის მიერ ხელმოწერებით.

ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს A-4 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:
- თავფურცელი (სათაური);
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;
- განმარტებითი ბარათი;
- სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა დადასტურებული შემდგენელის ხელმოწერით;

<u>შემსყიდველი იტოვებს უფლებას საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დააზუსტოს ისეთი ტექნიკური პირობები, რომლებიც არ გამოიწვევენ სამუშაოების მოცულობათა და შინაარსის მნიშვნელოვან ცვლილებებს. აგრეთვე, შემსყიდველი იტოვებს უფლებას საკონკურსო დავალებისა და საკონკურსო წინადადების საფუძველზე დააზუსტოს მოთხოვნები მისაღები (დასამუშავებელი) პროდუქციის მიმართ.</u>

- **შემსყიდველისათვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია**

საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს სრული დოკუმენტაცია:
_ მყარი ასლები _ ალბომი 4 ეგზ;
_ ელექტრონული ფორმატი (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი – ArchiCad, Auto CAD), კომპაქტური დისკების სახით (CD 4 ეგზ.).

გასაწევი მომსახურების დასრულების ვადაა 2013 წლის 5 დეკემბერი

სოფელ დოლოჭოპის (ყვარლის მუნიციპალიტეტი) სამნავიანი გაზიდვიკის საკონსერვაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებელი ხარჯთაღრიცხვა

#	დასახელება	თანხა ლარებში
1	არქიტექტურული ნაწილი	5000,00
2	ტოპოგრაფიული გეგმა _ მ. 1:500,	500,00
3	ფოტოფიქსაცია	300,00
4	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;	312,50
5	კონსტრუქციული ნაწილი	1250,00
6	გეოლოგის დასკვნა	1000,00
7	რეკომენდაციები საკონსერვაციო სამუშაოებისას გამოსაყენებელი ხამერნებლიო მასალისა და ძეგლზე არსებული მასალის თავსებადობის შესახებ;	500,00
8	შიწის სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური კვლევის შედეგები	750,00
9	ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი ზოლებისა და სიმრულების ჩვენებით მ. 1:200	875,00
10	საკონსერვაციო სამუშაოთა წარმოების ორგანიზება და სამუშაოების ჩატარების კალენდარული გეგმა-გრაფიკი;	363,76
11	ჩასატარებელი სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი და ფიზიკური სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა.	400,00
12	სახელოვნებითმცოდნეო კვლევა (საარქივო-ბიბლიოგრაფიული კვლევა, ძეგლის კვლევა და რეკომენდაციები);	625,00
13	კულტურული შემკვიდრეობის უძრავი ძეგლის საალრიცხვო ბარათი (დანართი 1),	375,00
14	კულტურული შემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (დანართი 2)	375,00
	პირდაპირი ხარჯები	**12626,26**
	ზედნადები ხარჯები 10 %	1262,63
	სულ	13888,89
	გეგმიური დაგროვება 8%	1111,11
	სულ	**15000,00**

შპს "კამარა"-ს დირექტორი /მიხეილ გელაშვილი/

სოფელ დოლოჰოპის (ყვარლის მუნიციპალიტეტი) სამნავიანი ბაზილიკის საკონსერვაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებელი გეგმა-გრაფიკი 04.10.2013-05.12.2013

	პერიოდი	04.10.2013წ-05.12.2013წ								
	კვირეები	1	2	3	4	5	6	7	8	9
1	არქიტექტურული ნაწილი									
2	ტოპოგრაფიული გეგმა _ მ. 1:500;									
3	ფოტოფიქსაცია									
4	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები,									
5	კონსტრუქციული ნაწილი									
6	გეოლოგის დასკვნა									
7	რეკომენდაციები საკონსერვაციო სამუშაოებისას გამოსაყენებელი საშენებლო მასალისა და ძეგლზე არსებული მასალის თავსებადობის შესახებ;									
8	მინის სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური კვლევის შედეგები									
9	ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი ხიმერებისა და ხიმშელების ჩვენებით მ. 1:200									
10	საკონსერვაციო სამუშაოთა წარმოების ორგანიზება და სამუშაოების ჩატარების კალენდარული გეგმა-გრაფიკი;									
11	ჩასატარებელი სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი და ფიზიკური სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა.									
12	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა (საარქივო ბიბლიოგრაფიული კვლევა, ძეგლის კვლევა და რეკომენდაციები);									
13	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის საალრიცხვო ბარათი (დანართი 1);									
14	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი (დანართი 2).									

შპს "კამარა"-ს დირექტორი /მიხეილ გელაშვილი/